წარმოების მუშაობის ეს ახალი ფორმები, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, საშუალებას გვაძლევს უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ მიწა, ტექნიკა, სამრეწველო ტექნოლოგია, აგრონომიისა და ზოოტექნიკის მიღწევები.

სამეურნეოთაშორისო კოოპერაციის საფუძველზე სპეციალიზაციის გაღრმავებისა და წარმოების კონცენტრაციის გზაზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეიქმნა მის შემდგომ იდუსტრიალიზაციას. მაგრამ წინანდელი მრავალრიცხოვანი და მცირე ზომის მინდვრის თესლბრუნვები აფერხებდა მარცელეულის, ტექნიკური და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანის ერთიანი ტექნოლოგიის დანერგვის პროცესს. ყოველივე ამის გამო საჭირო გახდა წარმოების ორგანიზაციული ფორმების სრულყოფა, ტექნოლოგიური ფუნქციების თავმოყრა ერთიან ორგანოში — „აგროკომპლექსში“, რომლის ცენტრალური რგოლი გახდა მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის გაერთიანება. მემცენარეობის რაიონული საწარმოო გაერთიანების „აგროკომპლექსის“ ბრძანებულებამ შეიქმნა მარცელეულის, ტექნიკური და საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის სამეურნეოთაშორისო სპეციალიზებული ქვეგანაყოფი. მის ფარგლებში შემოღებულია სამეურნეოთაშორისო თესლბრუნვა, სადაც ერთი მინდვრის საშუალო ფართობი 600 ჰექტარს შეადგენს. ამან კულტურების კონცენტრაციისა და მათი მოვლა-მოყვანის მსხვილი მექანიზებული რაზმების შექმნის შესაძლებლობა მოგვცა.

„აგროკომპლექსის“ შექმნამდე ბაკრის ჭარხლის ნათესები რაიონში განაწილებული იყო 227 ნაკვეთზე, რომელთა ფართობი 45-დან 120 ჰექტარამდე მერყეობდა. ახლა სამეურნეოთაშორისო თესლბრუნვის ათვისების პროცესში მინდვრები იზრდება. ახალი თესლბრუნვების ათვისების დამთავრების შემდეგ, 1980 წლისათვის ეს კულტურა სულ 15-20 დიდ მინდორზე იქნება განლაგებული.

თავის მხრივ, რაიონის რეა სამეურნეოთაშორისო თესლბრუნვაში მიმდინარეობს სპეციალიზაციის პროცესი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის წარმოების კონცენტრაცია.

მემცენარეობაში სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებამ, ბევრი ფაქტორი ზემოქმედებს: თესლბრუნვაში განლაგებული მეცხოველეობის კომპლექსებიც, ნიადაგმბრივი თავისებურებანიც, მუშახელის ოდენობაც და ა. შ.

მაგალითად, დრეკპაუცისა და მიხაილიანის სამეურნეოთაშორისო თესლბრუნვები უფრო ვიწრო სპეციალიზაციას მიიღებენ და ძირითადად საკვებს აწარმოებენ, რადგან მათ ტერიტორიაზე განლაგებულია მეცხოველეობის კომპლექსები. ტეცკანისა და ყარაკუშანის თესლბრუნვებში მთელი ფართობი კარტოფილს დაეთმობა, ხოლო კორეეთის თესლბრუნვაში — თამბაქოსა და შაქრის ჭარხალს.

თითოეული სამეურნეოთაშორისო თესლბრუნვის მომსახურებისათვის შექმნილია რაშდენიმე მექანიზებული რაზმი, რომლებსაც ჯერჯერობით კოლმეურნეობების სატრაქტორო ბრიგადების ტერიტორიაზე აქვთ ბაზა. მექანიზებულ რაზმს გამოუყოფენ მარცელეულის, ტექნიკური და საკვები კულტურების ფართობებს. მას აცნობენ წარმოების გეგმას, „აგროკომპლექსისა“ და კოლმეურნეობის გაგეგობის ურთიერთკავშირი სახელშეკრულებო საწყისებზე მყარდება.

იცვლება კოლმეურნეობის როლი საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში, რადგან მისი საკუთრება შორს გასცდა საკუთარი ტერიტორიული საზღვრების ფარგლებს. ხორცს იგი აწარმოებს საკოლმეურნეობათაშორისო კომპლექსში, სადაც, როგორც საპაო შენაბადის მფლობელი, კონტროლს უწევს მუშაობას, მის ტექნიკას იყენებენ მეზობელი საწარმოს მიწებზე, რომელიც მასთან ერთად სამეურნეოთაშორისო თესლბრუნვაში შედის. მას აინტერესებს სამეურნეოთაშორისო კოოპერაციული ბაღის მოსავალი. ერთი სიტყვით კოლმეურნეობა სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით შორს გასცდა თავის საზღვრებს. და მას გაუჩნდა საზრუნავი და ინტერესები, რომლებიც უფრო ფართო საწარმოო საქმეებს შეეხება, ვიდრე წინათ.

თავის მხრივ, კოლმეურნეობაც უშუალოდ მსხვილი მწარმოებელი ხდება და უკვე მრავალი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას კი არა, 5-6, ზოგჯერ კი უფრო ნაკლები სახეობის პროდუქციასაც კი აწარმოებს. მსხვილ კომპლექსებში შრომის დანაწილებისა და კონცენტრაციის პროცესში იგი თავისუფლდება მთელი რიგი დარგების განვითარებისაგან და ამავე დროს მთავარ ყურადღებას უთმობს წამყვან დარგებს.

მაგალითად, ლენინის სახელობის კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი იყო. ჯერ კიდევ 1971-1972 წლებში აქ 30-ზე მეტი სპეციალობის სასოფლო-სამეურნეო კულტურები მოჰყავდათ, რომლებიც განლაგებული იყო შისი თესლბრუნვის პატარა ნაკვეთებზე (90-100 ჰექტარი). ეს გახლდათ 400 ჰექტარი ხორბალი, 115 ჰექტარი თამბაქო, 10 ჰექტარი კარტოფილი, 2 ჰექტარი კომბოსტო, 0,5 ჰექტარი ხახვი, 1,5 ჰექტარი სტაფილო და ა. შ. ასეთ ფართობებზე მძლავრ ტექნიკას ვერ გამოიყენებ. ამიტომ ბევრი შრომატევადი პროცესი ხელით წარმოებდა და ბრიგადები მეურნეობაში არსებულ ყველა კულტურას ამუშავებდნენ. მეცხოველეობა წარმოდგენილი იყო პატარა ფერმებით, სადაც ჰყავდათ 220 ძროხა, 290 ღორი, ამდენივე ცხვარი, ბოცვრები, ფრინველი, ცხენი. ასეთი მეურნეობის მართვა ჭირდა, რადგან ერთნაირ ყურადღებას მოითხოვდა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისაგან. თამბაქოსა და წიწაკის, რძისა და ბრეშუმის პარკის, ხორცისა და კარტოფილის წარმოებისადმი, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

თუმცა კოლმეურნეობას სახელმწიფო გეგმებს ეძლეოდა ყველა წარმოებული პროდუქციის მიხედვით, იგი ერთდროულად ვერ გაზრდიდა ყველა კულტურის მოსავლიანობასა და მთელი სულადობის პროდუქტიულობას. შემოსავალი 1971 წელსაც კი სულ 500 ათას მანეთს შეადგენდა. ბევრი სპეციალობის პროდუქცია, მათ შორის რძე და ხორცი, ზარალიანი იყო. კოლმეურნეობას ყოველწლიურად 80-დან 150 ათას მანეთამდე ვალი ჰქონდა ხოლმე საკუთარი კოლმეურნეებისა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რაიონში შექმნილია რვა სამეურნეოთაშორისო თესლბრუნვა. ერთ-ერთი მათგანის შემადგენლობაშია ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებიც. რაიონში აშენებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის სასუქებელი სამეურნეოთაშორისო კომპლექსები, სანაშენე ფერმა კოლმეურნეობის წარმოების რეორგანიზაციის, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საშუალებას იძლევა. მეურნეობა გათავისუფლდა მთელი რიგი დარგებისგან და ახლა მარცელეულის, რძისა და ხილის მებაღეობა სპეციალდება. ამან ცვლილებები შეიტანა მის ორგანიზაციასა და მართვაში.

კოლმეურნეობამ შეიძინა მაცივრები, მეტ ყურადღებას უთმობს პროდუქციის ხარისხს, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ 1975 წელს სახელმწიფოსათვის მიყიდული რძის 96 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. და თუ წინათ ამ დარგს ზარალი მოჰქონდა, 1975 წელს სახელმწიფოსთვის მიყიდული ყოველი ცენტნერი რძიდან მიღებულია 7.28 მანეთი მოგება, რენტაბელობამ კი 44 პროცენტი შეადგინა.

დარგების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებამ უზრუნველყო კოლმეურნეობისათვის წარმოების მეოდეზე მზარდი ეფექტიანობა. სამი წლის მანძილზე შემოსავალი ხუთჯერ გაიზარდა, ამდენჯერვე გაიზარდა წმინდა მოგება და დაგროვებისა და მოხმარების ფონდების ანარიცხები. და თუ კოლმეურნეობამ 343 ათასი სახით 343 ათასი მანეთი დაანაწილა სამეურნეოთაშორისო კომპლექსების მშენებლობაში, უკვე ოთხ წელიწადში მათი ექსპლოატაციის შედეგად ეს თანხა მთლიანად ანაზღაურდა. ახლა კოლმეურნეობა დაბანდებული თანხის გადამეტებით მოგებას იღებს სამეურნეოთაშორისო გაერთიანებებიდან.

კოლმეურნეობის ახალი როლი

ნ. კუტკოვეცკი,
ბრიჩანის რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარე.

ციფრების ენით

მოლდავეთი დღეს

● **მოლდავეთის** სსრ ტერიტორია 34 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა 3,8 მილიონი კაცი, დედაქალაქი — კიშინიოვი.

● **გულმოდგინე** შრომამ შექმნა დღევანდელი რესპუბლიკა. აი რამდენიმე ფაქტი მისი ბიოგრაფიიდან. ისინი მოგვითხრობენ, თუ როგორ გარდაიქმნა მოლდავეთი დიდი ოქტომბრის შემდეგ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის უანგარო დახმარებით.

● **ამჟამად** მოლდავეთში მუშაობს ხუთასზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო.

● **დღეს** რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაშია 46 ათასზე მეტი ტრაქტორი, 13 ათასი კომბაინი, დაახლოებით 25 ათასი სატვირთო ავტომობილი.

● **ამჟამად** მოლდავეთში ირწყვება 170 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა, ბაღები და ბოსტნები. ისინი იძლევიან მიწათმოქმედების პროდუქციის თითქმის მეხუთედ ნაწილს.

● **1950 წელს** გაიმართა კიშინიოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი გამოშვება: იგი დაამთავრა 87 კაცმა. დღეს უნივერსიტეტში მეცადინეობს 8 ათასზე მეტი სტუდენტი. მოლდავეთის უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად უშვებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის 40 ათასზე მეტ სპეციალისტს.



54 ათასი სულისთვის გათვალისწინებული მეღორეობის კომპლექსი — ასეთია თანამედროვე ხორცის მწარმოებელი „ფაბრიკა“.

სიტყვა ახალ წიგნებზე

რევოლუციის მგოსანი

რევოლუციის დიდი პოეტისადმი მიძღვნილი ანთოლოგია — ლექსებსა და გამონათქვამების კრებული, რომლის სახელწოდებაა „სპბაშვა პოეტმბი მაიაკოვსკის შესახებ“, გამოსცა მოსკოვის გამომცემლობამ „სოვეტსკი პისატელმა“. კრებულის შემდგენელი მოსკოვის ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ვ. მაკაროვი და წიგნის რედაქტორი ვ. ვორონცოვი ცნობილი სპეციალისტები არიან მაიაკოვსკისმცოდნეობის დარგში.

კრებულის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „მაიაკოვსკიში თითქოს კონცენტრირებულია პროლეტარული რევოლუციის კოლოსალური პოეტური ენერგია. იგი მოწოდებული იყო შეასრულებინა განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული ეტაპის ტრიბუნის ისტორიული მისია“.

ანთოლოგიაში მკითხველი გაეცნობა სხვადასხვა თაობის საბჭოთა პოეტების ლექსებს მაიაკოვსკიზე. კრებული, როგორც მისი შემდგენელი აღნიშნავს, საბჭოთა პოეტების მიერ მაიაკოვსკიზე დაწერილ ნაწარმოებთა ცალკე წიგნად გაერთიანების პირველი ცდაა, მაგრამ მასალის სიუხვემ ვერ მოგვცა ამ ცდის მთლიანად შესრულების საშუალება, ასევე ხელი გვაქვს ეცირე ანთოლოგია იმ ლექსებისა, რაც პრესაში გამოქვეყნდაო.

ბუნებრივია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მკითხველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართველი პოეტების ლექსები დიდ საბჭოთა პოეტზე, რომელიც, როგორც თვითონ თქვა, „დაბადებით ქართველია“, წიგნში პირველი სიტყვა ეძღვნება პოეტ ს. ჩიქოვანს. შემდეგ მაიაკოვსკიზე მოგვითხრობს ტ. ტაბიძე. აქვე დაბეჭდილია ა. მირცხულავას სიტყვა, ტ. ტაბიძის ლექსი, რომელიც მიძღვნილია მაიაკოვსკის მშობლიური ბაღდათისადმი. ლექსში ქართველი პოეტი ისსენებს ქუთაისის 1905 წლის რევოლუციურ ამბებს.

დაწერილებით, ცხადია, ვერ შევიტანთ ყველა ლექსს. დასახელებულ ავტორებს გარდა კრებულში დაბეჭდილია გ. გიასელის, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, ი. ნონეშვილის, გ. ნადირაძის, ფ. ხალვაშის, კ. კალანდის, გ. ტაბიძის, გ. სალუქვაძის, მ. მაჭავარიანის, კ. ბობოხიძის, კ. ლომპიას, ი. თარბას ლექსები.

ეს შესანიშნავი კრებული კარგი საჩუქარია დიდი ოქტომბრის მაზეგბარე მომდერლის — მაიაკოვსკის შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ვ. ლაფერაშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ფლობერი ქართულად

გოლო წლებში თავი დაედგა დიდ საქმეს, — გამოვიდა გუსტავ ფლობერის რჩეულ თხზულებათა ხუთტომეული. ამ წიგნების ქართულ ენაზე გამოცემა ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მოღწევაა.

ამ საპატიო საქმის განხორციელებაში არ დაიშურეს თავიანთი ცოდნა, ენერგია და სიყვარული ჩვენმა სახელოვანმა მთარგმნელებმა. აწ გარდაცვლილმა არისტო ჭუმბაძემ, კარლო ჭილაძეანმა, მანანა გიგინეიშვილმა, საერთო რედაქტორმა გივი მელიქემ, გამომცემლობა „მერანის“ კოლეკტივმა.

ხუთივე ტომი კარგად არის გამოცემული. პირველ ტომს წინ უძღვის გუსტავ ფლობერის შემოქმედების მკვლევარისა და მთარგმნელის არისტო ჭუმბაძის ნარკვევი, რომელშიც ავტორი ფრანგი მწერლის ნათელ პორტრეტს გვაძლევს. საგულისხმო ფაქტია, რომ 1914 წელს სორბონის უნივერსიტეტში არისტო ჭუმბაძე ამზადებდა სადოქტორო დისერტაციას სწორედ ფლობერის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

პირველ ტომში დაბეჭდილია ფლობერის გახმაურებული რომანი „მადამ ბოვარი“ (თარგ. ა. ჭუმბაძისა), რომელმაც ავტორს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. ვიქტორ ჰიუგო ამ ნაწარმოებს უწოდებდა „ხელოვნების შედევრს“.

მეორე ტომი ეთმობა ისტორიულ თემაზე დაწერილ რომანს — „სალამბოს“ (თარგ. კ. ქილარჯიანისა და მ. გიგინეიშვილისა).

მესამე ტომში მოთავსებულია „სანტიმენტალური აღზრდა“ (თარგ. ა. ჭუმბაძისა), რომელშიც მწერალი აღწერს მისი დროის საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ძანიერებას.

ფლობერის რომანი „სანტიმენტალური აღზრდა“ ცალკე წიგნად გამოვიდა 1965 წელს. ამ ხუთტომეულში მისი სათაური „გრძნობათა აღზრდა“. ვფიქრობთ იგი ისევე უნდა დარჩენილიყო როგორც პირველი გამოცემისა, ფრანგულად ხომ ასეა „ლეფუკასიონ სანტიმენტალ“.

მეოთხე ტომში წარმოდგენილია დაუმთავრებელი რომანი „ბუვარი და პეკეშუპი“ (თარგ. ა. ჭუმბაძისა).

მეხუთე ტომში შედის მოთხრობები: „ჰეროდიადა“, „ლეგენდა მწირთა შემფარებელ წმიდა ეფესეიზე“ (თარგ. მ. გიგინეიშვილისა), პიესა „კანდიდატი“ და „წერილები“ (თარგ. ა. ჭუმბაძისა), შენიშვნები ეკუთვნის მანანა გიგინეიშვილს.

ცნობილია, რომ გუსტავ ფლობერი თავისებურად ორიგინალური სტილის მწერალია, არსებობს გამოთქმა „ფლობერის სტილი“. ცხადია, ეს გარკვეულ სიძნელეებს ქმნის მისი ნაწარმოებების სხვა ენაზე თარგმნის დროს, მაგრამ უნდა ითქვას მთარგმნელთა სასარგებლოდ, რომ ეს სიძნელეები ძირითადად დაძლეულია.

ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთი მშვენების — გუსტავ ფლობერის რჩეულ თხზულებათა ქართულ ენაზე გამოსვლა ჩვენი კულტურული ცხოვრების ზრდის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა.

დ. ფანჩულიძე,
პროფესორი.

მეგობრობის მერიდიანებზე

„მეგობრობის მერიდიანები“ — ასე ეწოდება გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ ახლახან დასტამბული ჭერილების კრებულს, რომლის ავტორია მთარგმნელი და ლიტერატორი არჩილ დავითიანი.

თარგმნითი მოღვაწეობა ა. დავითიანმა ამ ორი ათეული წლის წინათ დაიწყო და თავიანი ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე ქართველი მკითხველის წიგნის თაროს სოსური ლიტერატურის ქართულად ამეტყველებული არაერთი შესანიშნავი ხიბლში შესძინა, როგორიც არის, ძაგალითად, სახელგანთქმული რომანისტის რაფის (ჯაკოფ ძელიქ-ჯაკოფიანი) ცნობილი რომანი „ოქროს მამალი“ და მისივე ათამდე დიდი თუ პატარა მოთხრობა, მურაცანის (გრიგორ ტერ-ჰოვანესიანი) „ნოეს ყვავი“, ჰოვანეს თუმანიანის და ნარ-დოსის (მიქაელ ჰოვანესიანი), აგეტიქ ისააკიანის და შირვანზადეს (ალექსანდრე მოვსესიანი), სტეფანე ზოიანის და სტეფანე კურტიკიანის, აგრეთვე სხვა სოფეხი პროზაიკოსების მოთხრობები.

ა. დავითიანის ლიტერატურული წერილების ერთი შეხედვით პატარა, მაგრამ თავისი მნიშვნელობით სასარგებლო წიგნით ავტორი წარმოგვიდგა, როგორც სომხური ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საქმეებში კარგად ჩახედული ლიტერატორი.

ა. დავითიანი თავის წერილებში გვიამბოს ჩვენი კარის მეზობლის — ხომძე სომხეთის მხატვრული სიტყვის ისეთ დიდოსტატებზე, როგორიც იყვნენ ხაჩატურ აბოვიანი და რაფი, ნარ-დოსი და შირვანზადე, ჰოვანეს თუმანიანი და აგეტიქ ისააკიანი, ეღიშე ჩარენცი და დერენიკ დემირჭიანი, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით განადიდეს მშობლიური ლიტერატურა.

მკითხველი ინტერესით გაეცნობა აგრეთვე იმ წერილებს, რომლებიც ავტორმა თბილისში მცხოვრები სომეხი მწერლების ბენიკ სეიროანიანის, ჰოვანეს კარაიანის, წერენ თორგომანის, საპაკ მანველიანის, მკრტიჩ ასლანიანის და სუოეს ავჩიანის შემოქმედებას მიუძღვნა.

აბლა კი ორიოდე შენიშვნა, კეთილად ავტორს მიდველობიდან გამორჩენია. ქართველი მკითხველისათვის, მაგალითად, უდაოდ იიტერესოკელებული არ იქნებოდა იმის გაგებაც, რომ ცნობილი რომანისტის რაფის და სხვა სომეხი მწერლების ნაწარმოებები ქართულად მარტო გასულ საუკუნეში კი არ ითარგმნებოდა, არამედ საბჭოთა წყობილების პირობებშიც. ამ მხრივ ცალკე აღსანიშნავია ის, რომ ხ0-იან წლებში ქართულად თითქმის ერთდროულად დაისტამბა რაფის საყოველთაოდ ცნობილი რომანები „ხეხთი“ და „ოქროს მამალი“, ხოლო ცოტა ხნით ადრე — ღერენიკ დემირჭიანის ისტორიული რომანი „ვაოდანანქი“ (თარგმნეა ს. მანველიანმა და მ. ბინიაშვილმა).

კარგი იქნებოდა ავტორს გვერდი არ აეცალა თბილისში მცხოვრები ცნობილი პოეტის ბარტინ ქარამიანის შემოქმედებისათვის და მოკლედ მაინც აღენიშნა მისი ღვაწლი, რომელიც დასდო ისეთი კრებულის შედგენას, როგორიც არის „ხმა გულისა“. ეს წიგნი ამ რამდენიმე წლის წინათ გამოსცეს „საბჭოთა საქართველომ“ და სომხეთის გამომცემლობა „ანაისტანმა“.

ლ. ასტვაცატუროვი.

პოეტის რწმენა

„ყოველი ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელოვანის შეფასების მთავარი კრიტერიუმი, — ამბობდა სკკკ XXV ყრილოთაზე ლ. ბრეჟნევი, — რა თქმა უნდა, კვლავინდელებურად მისი იდეური მიმართულებაა“. ამ თვალსაზრისით ნოდარ ჯაჯანიძის „ჩემი დღეების ქრონიკები“ საგანგებო ყურადღების ღირსია. სამოკალაქო ლირიკის მოწინავე ტრადიციები ლექსების ამ კრებულში ახალი ძალით ცოცხლდება.

მწერლობა მუდამ იყო მქადაგებელი ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობაა, ხალხთა ძმობის და მეგობრობისა, და ასევე დაუნდობელი მტერი იყო ბოროტების, ძალადობის, ადამიანთა უფლებების ფეხქვეშ გათელვისა. ჭოლა ლომთათიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიყვარული და სიძულვილი — ეს ორი ხიბი წყარო ისტორიისა“. ეს მოქალაქეობრივი კოდექსი მწერლობაში დაძკვიდრდა და ოვენ დროსაც გადმოეცა, რამეთუ თვით ცხოვრება იყო და არის კეთილისა და ბოროტის ბრძოლა.

ამის ნიმუშია ნ. ჯალადონიას პოემა „ოლეგი“. ოცი წლის შემდეგ გასასამართლეს და სიკვდილით დასჯეს ახალგაზრდა გვარდიის გამცემლები და მოღალატეები.

არ შეგერჩმევა შენ კაცის
მკვლელი,
ბოღალატეებს ვინც ესვრის
ტყვიას.
ამ სროლას ყველა უცდის და
ელის,
თუმცა სრულდება ოცი წლით
გვიან.
არ შეგიტოკდეს მკვლავი და
თვალი
იქნებ ოლეგის სწორო და
ტოლო,
სიმართლეს დიდხანს ემორა
ვალი,
გადაიხადა ბოლოს და ბოლოს.

პოემაში უფრო და უფრო იძაბება სამშობლოს მოღალატის საბრალდებულო დასკვნა, როცა ვიგებთ, რომ „მოღალატეთა საფლავზე აღუმართავთ შავად გამურული ქვის ლოდი წარწერით: „ხალხის გამცემლები“, ქვაც, უსულო ქვაც გოდებს. „ჩემო გაძრენო და ჩემო ბედო, რად წოლფავ ასე სასჯელის ღირსი“.

პოეტის მებრძოლი, პუბლიცისტური პათოსი უთუოდ მხარდაჭერის ღირსია. ამ წიგნში, როგორც სარკეში, ჩვენი უახლესი წლებისა და დღეების მკაცრი ისტორია ნათლად აღიბეჭდა. ამას წინათ პოეტი ბამის მშეულებს ესტუმრა და აქ მიღებული შთაბეჭდილებები ახალი ლექსების ციკლით ჩვენს მკითხველებს გააცნო. აქ ეს პუბლიცისტური სიმძაფრე კვლავ ნათლად გამოვლინდა. ყველაფერი ეს ქმნის ღირსია. ამ მხრივ ეს ნაწარმოებები ამ ბოლო დროს დაბეჭდილი ლირიკული ლექსების — „ცხოვრების მხარდამხარ“ — ბიბლიოთეკას უთუოდ ამდიდრებს. ჩვენ ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი პუბლიცისტური ლირიკის ამ ნიმუშებს. თემატიკური და ინტონაციური ერთფეროვნება დამეუძველია პოეზიაში. აკი ჩვენმა დიდებულმა რუსთაველმა გვიანდერძა: „ჩვენ, კაცთა, მოგვცეს ქვეყანა, გვაქეს უთვალავი ფერითა“.

ჭეშმარიტი პოეტი ის არის, ვინც ახერხებს უთვალავი ფერი ცხოვრებისა პოეტური ენის უთვალავ ფერებად აქციოს.

პუბლიცისტური შემართებით დაწერილი ლექსების ამ კრებულში, პოეტური ფერებისა და ინტონაციების ერთგვარი უკმაობა ვიგრძენით. მოწყდებელი, სტრიბუნო, მიმართვითი ინტონაციებით აგრეთვე საინტერესო პოეტური პალიტრა უნდა გამდიდრდეს მეტი ნაირფერობითა და მუსიკალური ხმებით.

საერთოდ, მებრძოლი პუბლიცისტური პათოსის შემცველი ლექსების „სულის ტკივილებამდე ამაღლებულ მელოდიურობასთან დაწყვილება“ უფრო გაძლიერეს და აამაღლეს ამ ლექსების აზრის სრულყოფილებას. ძის ესთეტიკურ გავლენას მკითხველებზე.

ს. ჭილაია,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ესთეტიკური აღზრდა

ესთეტიკაში ყოველი ეპოქისათვის მნიშვნელოვანი იყო მშვენიერების პრობლემის კვლევა. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელ ვითარებაში კი, როცა განსაკუთრებით ამაღლდა ესთეტიკური აღზრდის როლი, ახალი, პარმონიულად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებისათვის მას კიდევ უფრო მეტი აქტუალობა ენიჭება. ეს აქტუალური პრობლემა დამუშავებულია ბიჯუ ბარამიძის წიგნშიც „მშვენიერება — ესთეტიკური აღზრდის საფუძველი“, რომელიც „განათლებამ“ გამოსცა.

წიგნი ეძღვნება ძირითადი ესთეტიკური კატეგორიის — მშვენიერების ანალიზს და მიზნად ისახავს მშვენიერება წარმოადგინოს, როგორც ესთეტიკური აღზრდის ძირითადი საფუძველი. წიგნში სამი თავია: ესთეტიკა და მისი ძირითადი კატეგორია — მშვენიერება; „გაადამიანებული“ სამყარო და მშვენიერება; მშვენიერება და ხელოვნება. ავტორი მიმზიდველი მხატვრული ფორმით ესაუბრება მკითხველს მშვენიერების საკითხებზე. უფრო მეტიც, წიგნი მასშტაბურობით სცილდება კიდეც თავის დანიშნულებას ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ავტორს მშვენიერების პრობლემა უფრო საფუძვლიანად და სრულყოფილად განეხილა.

საკმაოდ ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი თვით ესთეტიკას, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებას და ესთეტიკის მთელ რიგ სხვა საკითხებს. ამის გამო წიგნში მშვენიერების ისედაც სადავო საკითხს, კიდევ დაემატა ესთეტიკის ბევრი სადავო საკითხი, რომელთა გვერდის ავლაც შესაძლებელი იყო. ავტორი არ შეუშინდა იმას, რომ წიგნისთვის ფართო პოლემიკური ხასიათი მიეცა. ამჯერად ჩვენ არ შეუდგებით ამ უთუოდ საინტერესო და სადავო საკითხებზე კამათს. ამისათვის გაცილებით მეტი დროა საჭირო. ვიტყვით მხოლოდ, რომ წიგნის დანიშულების მიხდევით მიზანი მიღწეულია.

ავტორი სამართლიანად არ ცდილობს მშვენიერების განმასაზღვრელი რაიმე მხა ფორმულა ეოგაცეს. ბ. ბელინსკი ამბობდა, გაცილებით ადვილია გაიგო, რა არის მშვენიერება, ვიდრე შეძლო სხვისაც გააგებინო და აუხსნა იგი. ძველ ბერძნებსა და რომაელებს ხომ მშვენიერების გაგებაც უთუოულ საქმედ მიაჩნდათ, მისი საერთო განსაზღვრა კი შეუძლებლად. ამიტომაც გ. ბარამიძეს ერთადერთ სწორ გზად მიიჩნია ერთგული დარჩეს თავისი წიგნის სახელწოდებისა, სინამდვილის და ხელოვნების მშვენიერების უნვ მასალაზე დაყრდნობით მკითხველთან ერთად ეძიოს და ახსნას მშვენიერების, როგორც ესთეტიკური აღზრდის ძირითადი საფუძვლის სოციალური ბუნება.

ყურადღებას იპყრობს მშვენიერების მრავალ პოზიტიურ საკითხზე ავტორის ხატოვანი ხსჯელობის უფარი. მართალია, ეს საკითხები ძველთაგანვე სადავო და ჯერაც დაუდგენელია, მაგრამ თვით ახალზეა იმდენად საინტერესოდ არის მოცემული, ძველი წიგნი იძდენად ცოცხლად, ყოველდღიური ინტერესებიო ნუთთვალს, ისეთი კავშირი აქვს ცხოვრებასთან, კულტურის მიმდინარე პროცესებთან, რომ შეუძლებელია მკითხველზე გარკვეული ზეგავლენა არ მოახდინოს და ხელი არ შეუწყოს მისი ესთეტიკური გემოვნების გაჯეთარებას.

საგულისხმოა ისიც, რომ ყურადღებას იპყრობს ავტორისეე კარგი ხატვრული გემოვნებით გაფორმებული წიგნის გარეკანი.

ბევრ მხიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტში ფართო ადგილი ეთმობა საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბების და ესთეტიკური აღზრდის საკითხებს. ამ აზრით გ. ბარამიძის სარეცენზიო შრომა ფრიად სასარგებლოა ფართო მკითხველისათვის, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

გ. ხარატიშვილი,
თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნებისმცოდნეობის კათედრის დოცენტი.

საჯარეველოს ქთა-ბარი

გამარჯვებული

გამომცემლობა „ხელოვნების“ კოლექტივი — კვლავ პირველ ადგილზე

რესპუბლიკის გამომცემლობათა შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისათვის მეორე კვარტალში პირველი ადგილი კვლავ გამომცემლობა „ხელოვნებას“ მიეჩვა. გამომცემლობის კოლექტივმა ამჯერადაც დიდი გადაჭარბებით შესრულა გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ამ რამდენიმე დღის წინ გამომცემლობამ მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბ. სტუკალინის წერილი. გამსახკომის თავმჯდომარე მაღალ შეფასებას აძლევს გამომცემლობის თანხლობას, რომელმაც გამოუშვა მთელი რიგი უნიკალური გამოცემები, მათს შორის ჭეფურყდიანი წიგნები, იგი გამოთქვამს რწმენას, რომ გამომცემლობის კოლექტივი კვლავაც გამოიჩენს ინიციატივას და კარგი მაღალიდეური წიგნებით გაახარებს მკითხველს.

ამასთან დაკავშირებით გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორმა ო. ეგაძემ საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— 6 სექტემბერს მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე იხსნება მოსკოვის წიგნის პირველი საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა. გამოფენაზე ჩვენი გამომცემლობაც გაიტანს თავის პროდუქციას. უწინარეს ყოვლისა, ეს იქნება დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილი წიგნები. მათ შორის კლავირ-ალბომი „ქართველი კომპოზიტორები — ლენინს“ ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე, წიგნი-ალბომი „ინტერნაციონალი“. ეგენ პოტიეს ლექსისა და პიერ დეგეიტერის მუსიკის ნოტების ორიგინალის გარდა აქ მოცემულია პარტიული ჰიმნის თარგმანი მოქმეკოავშირე რესპუბლიკების ყველა ენაზე და მთარგმნელთა პორტრეტები: ფერადი გრაფიკული პლაკატი „ქართული ანბანი“, ალბომი „საქართველო“, მხატვრული პლაკატი სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ნოტებითა და ტექსტითურთ, ფერადი დასურათხატებული ალბომებისა და წიგნების მაკეტები, კერძოდ, „ფირსმანი“, „შუშანიკის წამება“, „ყინცვილის ფრესკები“, „ატენის მოხატულობა“, აგრეთვე ალბომები — „ზ. წერეთელი“, „ი. ონიანური“, ა. ფოჩხუა „კვეთილობა ბზაზე“ და ზოგიერთი სხვა გამოცემა.

სტუმრად გაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლებთან

16 აგვისტოს ბორჯომის რაიონის 28 წარმომადგენელი გაემგზავრა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე. ნია-გრუზინსკაია-ში ისინი შეხვდებიან საკავშირო მაგისტრალის სახელოვან მშენებლებს, მონაწილეობას მიიღებენ შაბათობაში, გამართავენ კონცერტებს. (საქინფორმი).

სტუმრად კოლმეურნეებთან

მახარაძე. პროდუქტების კომბინატის მუშა-მოსამსახურეები სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის ხბირი სტუმრები არიან. ამასწინათ ისინი კოლმეურნეობის სმინდის ყანებს მოეფინენ და რამდენიმე ჰექტარი დაამუშავეს. ასეთი დახმარებისათვის კომბინატის კოლექტივმა სოფლის მშრომელთა მადლობა დაიმსახურა.

ბრ. ტუღუში.

მომხმარებელს მოეწონება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ რამდენიმე თვეს მუშაობდა კიევის ექსპერიმენტალური საკვლევი ინსტიტუტის ბრიგადა. უკრაინელმა მეგობრებმა ადგილობრივი მრეწველობის გერთიანების სისტემაში დაამონტაჟეს ბერმანული ტიპის დანადგარი, რომელიც გამოუშვებს საკიდლი დეკორატიული შპალერს. როგორც აქ ფიქრობენ, ახალი პროდუქცია თავისი ხარისხით მსოფლიო სტანდარტების დონეზე იქნება.

ო. ნიჟაბაძე.

ბოროტმოქმედ ოჯახი

მუხურალთა ოჯახი — ასე იცნობენ მაღიეთში მცხოვრებ ხელოვნების დიდი მოტრფიალის, სოფლის პედაგოგის ბორის გუგეშაშვილის ოჯახს, რომლის ყველა წევრი — ქმარი, ცოლი და შვილები უდიდესი გატაცებით ასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

გუგეშაშვილების ოჯახმა ამ დღეებში კონცერტი სარაიონო კულტურის სასლის სცენაზე გამართა. მთელი პროგრამა ოჯახის მეთაურს მიჰყავდა.

ვ. ცირეკიძე.

„კომუნისტის ინტერვიუ

ამჯერად — მეექვსე

თბილისის „დინამო“ ალიკანტეს საერთაშორისო ტურნირზე

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობდა ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. დინამოელები ესპანეთიდან თბილისში 16 აგვისტოს, ღამის ორ საათზე დაბრუნდნენ. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ბ. ბახტურიძე შეხვდა დინამოელთა უფროსს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ნოდარ ახალაცს. აი რა თქვა მან ალიკანტის საერთაშორისო ტურნირის თაობაზე.

ჩვენი გუნდი საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ეოსკოვიდან 10 აგვისტოს საღამოს 11 საათზე გაფრინდა, ხუთი საათის შემდეგ პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში ვიყავით. 11 აგვისტოს დილით მადრიდში გავფრინდით, იქ ტურნირის ორგანიზატორთა წარმომადგენელი ი არ დაგვხვდა და მთელი დღე აეროპორტში გავატარეთ. როგორც იქნა მოვასწარეთ, ავტობუსით 500 კილომეტრი ვიარეთ და 12 აგვისტოს ღამის 2 საათზე ალიკანტეში ვიყავით.

ალიკანტეში შევიტყვეთ, რომ ტურნირი 10 აგვისტოს დაწყებულიყო და უკვე ერთმანეთთან ეთამაშათ ალიკანტეს „ჰერკულესსა“ და ბელგიის „ბევერენ-ვასს“. შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით დამთავრებულიყო — 3:1. ჩვენი პირველი მეტოქე თბილისელ გულშემატკივართათვის კარგად ცნობილი გუნდი ლონდონის „ვესტ ბრონვიჩ ალბიონი“ იყო. შარშან ეს გუნდი ინგლისის ჩემპიონატში მერვე ადგილზე გამოვიდა, ინგლისის წლევანდელი ბიბოლეობა კი 20 აგვისტოს იწყება. ლონდონელები ალიკანტეშიც 10 აგვისტოს ჩამოსულიყვნენ და ჩვენთან შესახვედრად ემზადებოდნენ. მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ლონდონის „ვესტ ბრონვიჩ ალბიონს“ შორის, რომელიც 12 აგვისტოს გაიმართა, მთლიანად დინამოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ქართველმა ფეხბურთელებმა ვერ გამოიყენეს გოლის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა. თამაშის 70-ე წუთზე კი ბურთი თბილისელთა კარში გავიდა. ამ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი.

თამაშის შემდეგ ადგილობრივი პრესა წერდა: თბილისის „დინამო“ მუშაობდა როგორც მანქანა, გამიმეღავნა უმაღლესი ტექნიკა, საინტერესო ტაქტიკური კომბინაციები და აჩვენა თანამედროვე ფეხბურთის უმაღლესი კლასი, მაგრამ ამ დღეს ბედი ინგლისელების მხარეზე იყოო.

„ვესტ ბრონვიჩ ალბიონის“ მწვრთნელია მისი ყოფილი ცენტრალური თავდამსხმელი რონი ალენი, რომელიც ამ გუნდის შემადგენლობაში 1957 წელს ითამაშა თბილისში „დინამოს“ სტადიონზე. როგორც გაზეთებმა, მანაც ისეთივე შეფასება მისცა დინამოელთა თამაშს და აღნიშნა: თამაშის დაწყებიდან ხუთი წუთის შემდეგ არ მჯეროდა, რომ ჩემი გუნდი გაიმარჯვებდა.

13 აგვისტოს შეხვედრა გაიმართა „ბევერენ-ვასსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის მესამე-მეოთხე ადგილებისათვის. მეათე წუთზე ინგლისელებმა გახსნეს. 37-ე წუთზე მეტოქის კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ კანთელაძემ იგი ვერ გამოიყენა. პირველი ტაიმი დამთავრდა ბელგიელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0, მატჩის მეორე ნახევარში გუცაევმა, ჩელებაძემ, დარასელიამ და ხიზანაშვილმა თოხჯერ აიძულეს ბელგიელები თამაში ცენტრიდან დაეწყოთ — შეხვედრა მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 4:1.

14 აგვისტოს გაიმართა ფინალი „ჰერკულესსა“ და „ვესტ ბრონვიჩ ალბიონს“ შორის. დიდი ანგარიშით (5:1) გაიმარჯვეს მასპინძლებმა. მატჩს აფიდანრი მსაჯი სჯიდა და მან ინგლისელთა კარში სამი პენალტი დანიშნა, სწორედ პირველი სამი ბურთი თერმეტმეტრიანი საჯარიმოთა გავიდა. მსაჯი არაობიექტურად სჯიდა. მან მოედნიდან გაიყვანა ინგლისელთა ორი ფეხბურთელი და... სასადარიგო მოთამაშეთა სკამზე მჯდომ მწვრთნელ რონი ალენსაც წითელი ბარათი ამოუღო, რითაც თამაშის ხელმძღვანელობისა და კურების უფლებაც არ მისცა. მწვრთნელი იძულებული გახადეს გასხდეულნი წასულიყო.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ტურნირზე საპეციალურად იყო ჩამოსული უეფა-ს თასზე თბილისელთა მომავალი მეტოქის — მიალანის „ინტერნაციონალეს“ ერთ-ერთი მწვრთნელი, რომელმაც „დინამოელთან“ ორივე მატჩის ვიდეოჩანაწერი გადაიღო. ალიკანტეში შვიტაკვეი, რომ 27-28 აგვისტოს ესპანეთის ქალაქ კადისში ტატარუნა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ითამაშებენ მილანის „ინტერნაციონალეი“, ესპანეთის ჩემპიონი მადრიდის „ატლეტიკო“, ბრაზილიის „ვასკო და გამა“ და ადგილობრივი ბენეი.

მილანის „ინტერნაციონალეი“ შარშან ქვეყნის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გამოვიდა. იტალიის პირველობა წლეულს 11 სექტემბერს იწყება, ხოლო 21 აგვისტოდან სეზონის დაწყებამდე „ინტერნაციონალეი“ იტალიის თასზე ოთხ თამაშს გამართავს.

თბილისის დინამოელებს საბჭოთა კავშირის პირველობაზე და უეფა-ს თასზე მეტად პასუხსაგები მატჩები მოელით. ვიცდებით გუშემატკივრებს იმედი არ გავუცრუოთ.

ფეხბურთი — ფრენბურთი

დღეს სტადიონებზე

დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე მეორე წრის მეორე ტურით განახლდება „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები თბილისის დინამოელები უმასპინძლებენ ძველ მეტოქეს — მოსკოვის ცსკა-ს. დღევანდელ მოსპორტზეთა თამაში ყოველთვის გამოირჩეოდა დაძაბულობითა და სიმწვავით. ამაზე მეტყველებს ამ გუნდების შეხვედრათა ბალანსი ჩემპიონატების მთელ ისტორიაში. დღევანდელმა ჩვენმა სტუმრებმა 67 თამაშიდან მოიგეს 29, წაიგეს 22, ხოლო ფრედ დამთავრდა 16 მატჩი (მათ შორის წლეულს პირველ წრეშიც — 0:0). ბურთების შეფარდებაც არმიელთა სასარგებლოა — 108:83.

მეორე წრის დაწყებასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეულ შეხვედრას, მაგრამ ტურის მატჩებიდან ყურადღებას იპყრობს ლოდერთა თამაში. კიევის „დინამო“ დნეპროპეტროვსკში, „დნეპრს“ ეწვევა, „ტორპედო“ — „ლოკომოტივს“, მოსკოვის „დინამო“ — ალმა-ათაში „კაირატს“, „შახტიორი“ — ლვოვში „კარპატს“. დანარჩენი შეხვედრებია: „ჩერნომორეცი“-„ზარია“, „არარატი“-„კრილია სოვეტოვი“, „ზენიტი“-„ნეფტჩი“.

გუშინ თბილისში

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გუშინ გაიმართა „დინამოსა“ და მოსკოველ არმიელთა სათადარიგო შემადგენლობების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:1. ბურთები გაიტანეს ბაზაზაშვილმა (მე-7 და 70-ე წუთები) და მიხალკევიჩმა (30-ე).

ვ. სავინის მემორიალი

მინსკში დამთავრდა ფრენბურთის გამოჩენილი პოპულარიზატორის ვ. სავინის საერთაშორისო მემორიალი. დასკვნითს დღეს საბჭოთა ნაკრებმა დამაჯერებლად მოუგო იაპონიის გუნდს — 3:0 (15:9, 15:6, 15:9) და დაუძარცხებლად დაიმსახურა პირველი ადგილი.

ტურნირის სენსაცია იყო კუბის ახალგაზრდა გუნდის წარმატება. ბოლო დღეს სძლიეს თვით ოლიმპიურ ჩემპიონს — პოლონეთის ნაკრებს — 3:1 და მეორე ადგილი დაიკავეს. უეჭველია კუბელები ერთ-ერთი ფავორიტები იქნებიან სიფიის უნივერსიადაზე, სადაც მთელი შემადგენლობით მიემგზავრებიან.

— მოკლედ

ფეხბურთი. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ამხანაგური მატჩი მოუგო სსრ კავშირში სტუმრად მყოფ გვინეის დედაქალაქ კონაკრის კლუბს „აფიას“ — 4:0 (1:0).

მძლეობნსნობა. ნიუ-იორკში გაიმართა ტრადიციული მატჩი აქერიკელ და საბჭოთა მთავალჭიდის ოსტატ გიორგესა და ქალები ძორის, ტუოიიოში ორნაწილეობდნენ ბერეეგი კანადელ სპორტსმენები. გუშდეგო ითვლება გაიმარჯვეს საბჭოთა ქალების და ამერიკის ვიეთა ხაკრებებმა. ათმეიდელთა შორის საუკეთესო იყო ამერიკელი ფრედ დიქსონი — 8392 ქულა. ევროპის რეკორდსმენი, სტავროპოლელი ალექსანდრე გრებენიკ